# სახალხო გაზეთი

№ 298 კვირა, 8 მაისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 298

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газэти" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


სვიმონ ივანეს ძე, ივანე, ნიკოლოზ, დიმიტრი, გიორგი, ვასილი და ვლადიმერ სვიმონის ძენი კურდღელაშვილები, ნინო სვიმონის ასული ელიზბარაშვილისა, თებრო სვიმონის ასული ლომკაციშვილისა, სოლომონ და გრიგოლ კურდღელაშვილები, მღვ. კორნილეოს ელიზბარაშვილი, ილარიონ ლომკაციშვილი, და რძალი ბაბილინა კურდღელაშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, პირველი—ძვირფასის მეუღლისას, მეორენი—დედისა, მესამე და მეოთხე რძლისა, მეხუთე და მეექვსე სიდედრისა, და უკანასკნელი დედამთილის

### თამარ გიორგის ასულის კურდღელაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდები ქ. თელავში, საკუთარ სახლში (ძველ-გალავანი) დღეს საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა ორშაბათს, 9 მაისს თელავის მართლ-მადიდებელთა სასაფლაოზე. (1—1)

---

არტემიუსი გულითადის მწუხარებით აუწყებს თვისი საყვარელი და დაუვიწყარი ამხანაგის ნიჭიერი ვიოლონისტ-ვირტუოზის

### დავით გრიგორის ძე დავიდიანის

უდროვო და ტრაღიკულ გარდაცვალებას, რომელიც მოხდა ოსმალეთის ქ. მარზვანში, აპრილის 25-ს. სთხოვს თავის მეგობრებს და განსვენებულის ნიჭის მრავალ-პატივისმცემლებს დაესწრონ პანაშვიდის გარდახდას, რომელიც მოხდება დღეს, კვირას, 8 მაისს ვანქის ტაძარში. წირვის დასაწყისი დილის 10½ საათზე, ხოლო პანაშვიდისა შუადღის 12½ საათზე. (1—1)

---

ქვრივი ოლღა გაბრიელის ასული გომელაურისა, სიდედრი ეკატერინე (კეკე) ნოდარის ასული ნაცვლიშვილისა, ძმისწულები: ილია და შაქრო სვიმონის ძენი და გიგა სოლომონის ძე გომელაურნი, ქვრივის ძმა ნიკოლოზ გაბრიელის ძე ნაცვლიშვილი—აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 8 მაისს 11 საათზე, კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გარდახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

### ივანე (ვანო) ზაქარიას ძე გომელაურის

სულის მოსახსენებლად. (1—588—1)

---

ქეთევან თომას ასული შვილებით და მღვდელი გრიგოლ ილარიონის ძე გძელიშვილი ცოლ-შვილით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 10 მაისს, გადახდილ იქმნება პეტრე-პავლეს სასაფლაოს ეკლესიაში ორმოცის წირვა და შემდეგ პანაშვიდი პირველის—ქმრისა, მეორეთა—მამისა, ხოლო მესამეთა—ძმისა, მაზლისა და ბიძისა, უდროოდ გარდაცვალებულის

### მღვ. ვლადიმერ ილარიონის ძის გძელიშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 9 ს. (1—587—1)

---

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი.

სახალხო სახლთან არსებულ წარმოდგენების მმართველი წრის მიერ სამშაბათს, 10 მაისს,

### —● ნიკო გოცირიძის საბენეფისოდ ●—

სახალხო სცენაზე 15 წლის მოღვაწეობისა გამო წარმოდგენილი იქმნება

## ნამუსისათვის

დრამა 4 მოქ. შირვან-ზადესი.

II. არც აქეთ, არც იქით

ვოდ. 1 მოქ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: გოგოლაშვილი, თამარაშვილი, ნებიერიძე, პიერეტა, ციმაკურიძე; ბ-ნნი: ანაშვილი, ბაქრაძე, ბიაშვილი, გოცირიძე, ხახანაშვილი, ინაშვილი, მეტრეველი, ბ. მდივანი, ნარი, ჭელიძე, ჭიაურელი, და სხვანი.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 10 ს.-დან 2-მდე და 6-დან 9 ს.-მდე.

ადმინისტრატორი ა. ჭიაბერაშვილი. რეჟისორი ნ. გოცირიძე.

დასაწყ. საღ. 8 ს. (5—1151—3)

---

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

კვირას, 8 მაისს, დღით გამართება

## სალიტერატურო დილა

მონაწილეობას მიიღებენ: ახოსპირელი „ჩემი სიმღერა", გრიშაშვილი „სონეტი". ქუჩიშვილი „მშიერის ამონაკვნესი". თურდოსპირელი „ტყვე". ჩირგაძე „მოღლილს". შარაშიძე „მწუხარება". წაკითხულ იქნება ეშმაკის „ქაჯური ენა". ბაბილინა „გედება". რუშაველი „ნაკადული". ნარკანი „ლახარი". ჯაფარიძე „საკიამუნი". ირეთელი „საპრემიო ოფლის ღვრა". შალიკაშვილი „იმერული სცენები". აპ. წულაძე „გურული სცენები". ვ. აბაშიძე და ნ. გოცირიძე იმღერებენ „კუპლეტებს", ვლასოვი დაუკრავს მანდალინაზე.

ბილეთების ფასი 5—50 კ. იყიდება კასაში. (3—1270—2) დასაწყ. 1 ს.

---

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

კვირას, 8 მაისს

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველი წრის მიერ ე. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება:

## ქრისტინე

დრამა 4 მოქ. ირეთელისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გოგოლაშვილი, გარე-კახელი, ჩირგაძე, კავთელი, ციმაკურიძე, ჩერქეზიშვილი, ბ-ნნი ანაშვილი, ბაქრაძე, ბიაშვილი, ვანიაშვილი, მდივანი, მეტრეველი, ნარი, სონღული, ჭიაურელი, ხახანაშვილი, მანჯგალაძე, კუპლაშელი, ჯაფარიძე და სხვანი. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 10-ან 2-ის და 6-ან საღამოს 9 საათამდე.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

ადმინისტრატორი ა. ჭიაბერაშვილი. რეჟისორი შ. შარაშიძე. (2—1268—1)

---

კვირას, 15 მაისს, დილის 11 საათზე, შესდგება

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

წევრთა საერთო

## წლიური კრება

ჩ. რეილინის ქუჩაზე, ტფ. სათავ-აზნაურო სააძგილ-მამულო ბანკის დამფასებელ კომისიის სადგომში.

კრების განსახილველი საგნები: 1) ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1910 წლამდე, 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა, 3) საბჭოს მოხსენება წიგნების ზოგიერთ ფულის შეცვლის შესახებ, 4) საბჭოს მოხსენება სალიტერატურო და სამეცნიერო კრებულის გამოცემაზე და 5) არჩევა საბჭოს და სარევ. კომისიის წევრებისა. (5—1)

---

## ქართული საზაფხულო თეატრი

სადღესასწაულო წარმოდგენა

კვირას, 8 მაისს, 1911 წ.

საზაფხულო თეატრის და ბაღის გასახსნელად ქართულ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქმნება ზ. ანტონოვის ცნობილი პიესა:

## მზის დაბნელება საქართველოში

ნამდვილი კომედია 3 მოქმედებად.

მიკირტუმას როლს შეასრულებს ვ. აბაშიძე.

მონაწილეობას მიიღ: ქ-ნნი: ვიქტორელი, კარგარეთელი, ჯავახიშვილი, ჩერქეზიშვილი. ბატონნი: აბაშიძე, არადელი, გუნია, გვარამძე, ივანიძე, ჟივიძე, მდივანი, მატარამე, მამფორია, საფაროვი, ციციშვილი, შალიკაშვილი და სხვ.

წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადგილების ფასი ერთი აბაზიდან ორ მანეთამდე. მზადდება წარმოსადგენად: „ქოროღლი" ახალი სენსაციური პიესა.

ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოებისა. რეჟისორი ვალ. გუნია. (2—1269—2)

---

გამოვიდა და იყიდება საყმაწვილო სურათებიანი მოთხრობები ივანე ელიაშვილისა „სამშობლო ბუნების სარკე"

ტფილისში იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში. ფ ა ს ი 30 კაპ. (თვ.—1224—10)

---

## რადგანაც ახალ კატალოგის შედგენას

◄● შევუდექით, ●►

ამიტომ წიგნების ყველა გამომცემელსა და ავტორებს ვსთხოვთ 1 თიბათვემდე გვაცნობონ სია თავიანთი წიგნებისა, აღნიშვნით: სად შეიძლება ხსენებულ წიგნის შეძენა, სად და როდის არის გამოცემული და რა ღირს ცალი.

ქ. შ. წ. კ. საზოგადოების მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიის გამგე ი. ბებლიშვილი. (3—1266—1)

---

შაბათს, 14 მაისს, 1911 წ. დილის 12 საათზე შესდგება

## ახალი კლუბის

წევრთა კრება, ქართულ თეატრის ფოიეში. ყოველ წევრს, ვისი ადრესიც მოხსენებულია სიაში, გაეგზავნება ცალკე უწყება. (1—591—1)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

დბვთიანი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და პარ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—1 ნახ. ს.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. დროებით წასულია.

სობოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულაგოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი

## წამლობა „606"-ით

(Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. სადღესოდ (წ.—1089—459)

---

## ახლად გაიხსნა ნამდვილ კახურ ღვინოების საწყობი,

სადაც ღვინო მეტად სინიდისიერ ფასად იყიდება: ვედრო 2 მ. 40 კ.—8 მან. ბოთლი—15—60 კაპეიკამდე, სხვადასხვა ღვინოები—ვედრო 4—8 მ., ბოთლი—30—60 კ. ღვინოებს სხვა ქალაქებშიაც ვგზავნით, დამკვეთელი დაბარებულ ღვინის საღირალის მეხუთედს დაკვეთის დროს გამოჰგზავნის და ღვინო ფასდებით გაეგზავნება. ასეთ დამკვეთელთ მანეთზე ორი შაური დაეთმობათ.

მისამართი: ტფილისი, ბაგრატიონის ქუჩა № 10 (მეოთხე საპოლიციო უბანი) სახლი კოწეწოვისა. პატივისცემით: ს. ი. კურდღელაშვილი. (3—1256—1)

---

## ——≡ გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა ≡——

მევენახეთა და მემამულეთა საყურადღებოდ!

ამ ბოლო დროს ბაზარში გაჩნდა გასაყიდად გოგირდი ისეთ ზოლიან „მეშოკებში" და ისეთი იარლიკით, რომელიც გარეგნობით ძალიან წააგავს ჩვენს ზოლიან „მეშოკს" და იარლიკს. ამიტომ ვაფრთხილებთ პატივცემულ ჩვენს მუშტრებს უსათუოდ დააკვირდნენ და წაიკითხონ „მეშოკის" იარლიკზე აღნიშნული ჩვენი გვარი და ფირმა, ჩვენ მხოლოდ ჩვენი გოგირდის ღირსებაში ვაგებთ პასუხს.

მიწად-მოქმედების სამინისტროს კომისიონერი

მ. ე. ფ რ ი დ ო ნ ო ვ ი ტფილისი. (4—1260—3)

---

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდინ. (წ.—1147—42)

---

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ანჩის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

დ. გრეიცი—თვალისა, ყოველ დღე 1—2 ს.-მდე.

მონსე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

ნოვიცკი—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უკლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

სულაკოვი—ყოველ დღე, ქალებ. და ბავშვ: 3 ნახ.—4 ნახ. საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელოვოზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ოსხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ლიმონი—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.

დ. ა. მხიტარიანცი—სიფ., ვენერ., დილის 9 საათ. 10 ნახევარ ს. ყ.-დღე.

ყალამქაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-სს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის წესით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (წ.—1248—41)

---

ვაგზლის კერძო

## სამკურნალო

გარედან უოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გამსახურდიაძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

გ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. სობოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

## წამლობა „606"-ით.

(წო.—1090—56)

---

ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი

ქირურგიული და დედათა სნეულების

## საავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

## ივ. ზოკერიასი

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

იქვე წამლობენ სიფილისს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606". (0—1251—102)

---

ექიმი ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—51

---

ექიმი ჯ ა ფ ა რ ი ძ ე

ქ. ქუთაისში

იღებს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—63)

---

ექიმი ა. ნ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი ჯაბაშვილისა. (უ)

---

ელექტრონისა და რენტგენის

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

## მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—12)

---

ექიმი ქ უ თ ა ი ს შ ი, ს. ი. ვ ო ლ ო ს ი

კათოლიკების ქუჩა N 33.

საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებისას იწყებს სიფილისის მკურნალობას 606 პრეპარატით ერლის ხატა. სიფილისის სისხლის გამოკვლევა ვასსერმანისებურათ საგანგებოდ მოწყობილ ლაბორატორიაში. წამლობა აგრეთვე ჭლექიანისა და საყმაწვილოსი სხვა და სხვა ტუბერკულინებით (ყოველ კვირა ახალ-ახალი პრეპარატებით). ბ.ბ. ექიმებს, როგორც ადგილობრივთ აგრეთვე ქალაქ გარეთელებისთვის, მოთხოვნისათანავე ეგზავნებათ საგანგებო შესაწვევებში სტერილიზაცია გაკეთებული ეპროვეტები სისხლის გამოგზავნისთვის ვასერმანისებურათ გამოსაკვლევად. (50—1078—54)

---

ექიმი შ. ა. მ ი ქ ე ლ ა ძ ე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. ჯაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

---

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. ვოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (უ)

---

ექიმი კ ბ ი ლ ი ს ა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვისა ქ. N2.

---

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. ჯორჯიძის ქ., № 9 (უ)

---

## ტფილისი, 8 მაისი

**ქართველი ამომრჩევლები.** გუშინდელ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა ცხრილი ქალაქ ტფილისის ამომრჩევლებისა. თანახმად ამ ცხრილისა, ქონებრივი ცენზი ჰქონია სულ 1023 ქართველს. ამათგან საქალაქო გადასახადი შეუტანია მხოლოდ 470 კაცს. მაშასადამე, ხმის უფლებაც მომავალ არჩევნებში მხოლოდ ამ 470 ამომრჩეველს ექმნება, თუ სხვებმა თავის დროზე არ შეიტანეს მათზე დარჩენილი ვალი. ამ რიცხვს უნდა მივუმატოთ 102 კაცი, რომელთაც სავაჭრო-სამრეწველო ცენზი აქვთ. მაშასადამე, დღემდე ქართველ ამომრჩეველთაგან მხოლოდ 572 შეუძლიან ისარგებლოს თავის უფლებით. რუს-ამომრჩეველთა რიცხვი უდრის 1145. ამათგან დღემდის გადასახადი შეუტანია 720. სავაჭრო-სამრეწველო ცენზით სარგებლობს მხოლოდ 35 რუსი-ამომრჩეველი. მაშასადამე, რუს-ამომრჩეველთაგან დღეს შეუძლიან ისარგებლოს თავის უფლებით 755. სომეხ-ამომრჩეველთა რიცხვია: ქონებრივი ცენზით 2573, სავაჭრო-სამრეწველო ცენზით —434. საქალაქო გადასახადი შეუტანია დღემდე 1367 სომეხ ამომრჩეველს... დღეს თავის უფლებით შეუძლიან ისარგებლოს 1801 სომეხმა ამომრჩეველმა. მაშასადამე, ყველა ქართველმა რომ თავისი ვალი შეიტანოს, მაინც იმაზე ნაკლები იქმნება, ვიდრე დღეს სომეხი ამომრჩევლები არიან. ციფრები, საერთოდ აღებული, ქართველებს ბევრს ვერაფერს სანუგეშოსეუბნება.

იმ შემთხვევაში, თუ ქალაქის არჩევნების გარშემო უკიდურესი ეროვნული ბრძოლა გაიმართა, სომხები ყოველთვის მოახერხებენ თავიანთ მოწინააღმდეგეთა გაშავებას დღევანდელს პირობებში. მაგრამ ასეთი გამწვავება ეროვნულ ბრძოლისა არც სასურველია და არც მოსალოდნელი. ჩვენთვის, ქართველებისთვის, საქალაქო არჩევნები, სხვათა შორის, ერთგვარი სკოლაა. დღემდის ქართველი ამომრჩევლები ძალიან გულ-გრილად ეკიდებოდნენ არჩევნებს და ბურთსა და მოედანსა სხვებს უტოვებდნენ. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ერთხელ არის, ქართველებიც გამოვიდნენ საარჩევნო მოედანზე არა ვისმესთან საბრძოლველად, არამედ თავის

ინტერესების დასაცველად. არჩევნებში მონაწილეობის მიღებით ქართველმა ამომრჩევლებმა უნდა დაამტკიცონ, რომ მათაც ეინტერესებათ ქალაქის საქმეები და სურთ უბრალო მოწმენი არ იყვნენ ყველა იმისა, რაც მათ გარშემო ხდება. ასეთი აზრებით გამსჭვალვა, დაინტერესება ქალაქის საქმეებით და სისტემატიური ზრდა თვით-შეგნებისა უკვე გამარჯვებაა. ქართველებს დიდი შორს-მჭვრეტელობა მაინცა და მაინც ბევრჯელ არ გამოუჩენიათ. სასურველია, ეხლა მაინც გაითვალისწინონ მდგომარეობა და დაახლოვებით მაინც წარმოიდგინონ, რა შეიძლება მოხდეს მომავალში და როგორ უნდა მოამზადოს ნიადაგი ქართველმა ამომრჩეველმა ამ მომავალისთვის.

**დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 11 მაისს.**

# ახალი ამბები

## ტფილისი

**მოქალაქეთა არჩევნების გამო.** მეშჩანთა სტაროსტამ ბ. ვ. ი. არაქელიანცმა ტფილისის გუბერნატორს წარუდგინა 1 მაისს მომხდარ, 1911—13 წლის რწმუნებულთა არჩევნების ოქმი. ამ დღეს არჩევნები მესამე ამომრჩეველ რაიონში (მე-7, 8 და 9 საპოლიციო უბნები) მოხდა. სტაროსტამ წარუდგინა აგრეთვე იმათი სიაც, ვისაც არჩევნებში მონაწილეობის ნება ჰქონდა და კრებას რამდენი ამომრჩეველი მესამე ამომრჩეველ რაიონში დაესწრო. თანაც სტაროსტამ გუბერნატორს სთხოვა ნება დართოს, რადგანაც 1 მაისს 32 საჭირო რწმუნებულის მაგივრად მხოლოდ 30 აირჩიეს, დანარჩენი ორი რწმუნებულის არჩევნების დამატებითი არჩევნები 15 მაისს მოხდეს.

ტფილისის გუბერნატორი კავკასიის გზათა სამმართველოს გამგეობას შეეკითხა, თუ რა ზომებია მიღებული, რომ კავკასიის სამხედრო გზაზე მიმოსვლის წესიერება არ დაირღვეს. სამმართველომ გუბერნატორს აცნობა, რომ ის გზიდან მუდამ დეპეშით იღებს ცნობებს და თუ რამე მოხდა ისეთი, მაგალითად, როგორც ამ რამდენიმე ხნის წინ სადგურ კობისა და გუდაურის შორის ზვავის ჩამოწოლა, მმართველობა მაშინვე აგზავნის მუშებს გზის გასაწმენდად.

**ხელოსანთა მოურავი** სეროფიანცი გუშინ სადარბაზოდ იყო ტფ. გუბერნატორთან და ხელოსანთა სახელით გუბერნატორად დამტკიცება მიულოცა.

**შუამდგომლობა.** საქართველოს ეგზარხოსი შუამდგომლობს, რათა დუშეთის ხაზინის ძველი შენობა სასულიერო უწყებას დაეთმოს სკოლისთვის.

**გადასახლებულნი.** 6 მაისს ტფილისში შეიპყრეს ნიკოლოზ ბერძნიშვილი და ივანე ბალდასაროვი, რომელნიც გადასახლებულნი იყვნენ და თავის ნებით დაბრუნდნენ.

**თავის მოკვლა.** 7 მაისს მეძავ ქალთა სახლში, რომელიც ელიაროვისას ეკუთვნის, რევოლვერით თავი მოიკლა პოლიციელმა უდანოვმა.

**ქალაქის პირველ საპოლიციო უბნის ბოქაული** გამბერგი თელავის მაზრის უფროსად ინიშნება.

**ექსკურსია.** 6 მაისს, ნაშუადღევის 3 საათზე, ბათომიდან ტფილისში ჩამოვიდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ბათომის სკოლის მოსწავლეთა ექსკურსია, რიცხვით 35 კაცი. მოსწავლეთ ბინა მიეცათ ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის შენობაში. გუშინ მოსწავლეებმა ტფილისის შესანიშნავი ადგილები დაათვალიერეს. ექსკურსია ბათომში ხვალ დაბრუნდება.

6 მაისს მტკვარში უცაბედად გადავარდა და დაიხრჩო 13 წლის უმაწვილი მიხეილ სოლოგოვი.

დღეს, 8 მაისს, დილის 11 ს. დანიშნულია ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სამზრუნველოს წევრთა არჩევნები. კრებული ამ ეკლესიის სთხოვს მრევლს, შეიკრიბნენ დანიშნულ დროს ამავე ეკლესიის სამრევლო სასწავლებლის შენობაში.

## საზოგადოებანი და კრებები

**ჟურნალისტებში.** დღეს, დილის 11 ნახ. საათზე, ქალაქის გამგეობის სადგომში, ჟურნალისტთა საზოგადოების წევრთა საერთო კრება მოჰხდება, რომელზედაც, სხვათა შორის, მოსმენილ იქმნება მოხსენებები „საგაზეთო პოლემიკისა“ და „პატივის აღმდგენელ სასამართლოთა“ შესახებ.

საექიმო საზოგადოების დარბაზში ქ-ნი ბარნაბიშვილისა წაიკითხავს „ფუტკრის შესახებ“; ავჭალის აუდიტორიაში ქ-ნი ჰრელაშვილისა — „თეთრი კურდღელი“; ნაძალადევში ქ-ნი ნასიძისა წაიკითხავს — „ჩაის წარმოების შესახებ“. ავლაბარში ქ-ნი ასათიანისა წაიკითხავს, „გულივერის მოგზაურობა“-ს, ნავთლუღში ლაშქარიშვილი — „ქრისტეფორე კოლუმბი“ ს. კითხვების დროს ყველგან აჩვენებენ სურათებსაც.

კვირას, 8 მაისს, დილის 10 საათზე, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სკოლაში, დანიშნულია ამ სკოლის მზრუნველთა არჩევნები.

## სასამართლო

**ტფ. ოლქის სასამართლოს სესია** უკვე დაბრუნდა ზაქათალიიდან.

## სასწავლებლებში.

ორშაბათს, 9 მაისს, ტფილისის ქართულ სათ.-აზ. გიმნაზიაში მშობელთა და მოწაფეთათვის სალიტერატურო-სამუსიკო დილა გაიმართება. მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ გიმნაზიის მოწაფენი, რომელნიც, სხვათა შორის, ჩვენი კომპოზიტორების ყარაშვილისა და ფალიაშვილის ნაწარმოებსაც დაუკრავენ. პროგრამა საინტერესოდ არის შედგენილი.

## მაჰმადიანთა ცხოვრება

ქალაქ ნუხაში აქაურ გუბერნატორის ნებართვით დაარსდა ქალ. ნუხის და გუბერნიის მაჰმადიანთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება „ნეშრ-მაურიფი“. წესდება უკვე დაიბეჭდა და პირველი საზოგადო კრებაც მოკლე ხანში შესდგება.

ქალ. ასტრახანში თათრულ ენაზე გამოვიდა პირველი ნომერი ყოველ-დღიურ თათრულ გაზეთის „ხაკკ“-ის (სიმართლე).

**თეირანიდან** იტყობინებიან, რომ ბახტიარების ოლქში „მოპლუგ“-ში გუბერნატორი ემირ—ეთხემი ჩამოვიდა. მას მიენდო ლურისტანში წესიერების დამყარება.

## ბაქო

ლ. ტოლსტოის სახელობის ბიბლიოთეკის დამაარსებელით დასამტკიცებლად, წარუდგინეს ბაქოს გრადონაჩალნიკს წესდება ამ ბიბლიოთეკისა.

17 მაისს გასარჩევად დანიშნულია ცნობილი საქმე, რომელშიაც ბრალი ედებათ ტფილისისა და ბაქოს მაძებარ პოლიციის მოხელეთ ასაფეთქებელ მასალის მომზადებასა და შენახვაში. ტფილისის მაძებარ პოლიციის ყოფილი უფროსი რაკოგონი ამ ჟამად დაპატიმრებულია ბაქოს ციხეში.

როგორც გადმოგვცემენ, გემ „ნიკოლოზ 2“-ზე თავდასხმის შესახებ საქმე ნაფიც ვექილს მალიანტოვიჩს სენატში გადააქვს განსახილველად.

## პროვინცია

**თელავის** მაზრაში შარშან მოჰკლეს სოფელ გურჯაანის მცხოვრები მიხეილ მახოშვილის ცოლი. ბოროტ-მოქმედების ჩამდენი აქამდის ვერ აღმოაჩინეს, ეხლა თვით მახოშვილი გამოტეხილა. მიზეზი მკვლელობისა გამოურკვეველია.

**სოფ. კასპში** (გორის მაზრა) უცნობ ბოროტ-განზრახველთ გაუნგრევიათ პეტრე ქელიძის საწყობის ქვის კედელი. დუქნიდან გაუტანიათ 200 მან. საქონელი, 4 თამასუქი 400 მანეთისა, 11 მანეთი ფულად და სოფ. კასპში მცხოვრების ალექსანდრე ტერ-ზახაროვის პასპორტი, რომელიც ქელიძეს მოსამსახურედ უდგა. ეჭვი ვერავიზე ვერ მიუტანიათ.

# პატარა ფელეტონი

### მიუწდომელი სიმი.

სოლომონს სძინავს თავის ბაღჩაში. სულის შფოთის ზოლები ათასნაირად ჰკრთიან მის სახეზე. უსწრაფესნი თვით აზრისა, გაჩნდებიან, გადაებმიან ერთმანეთს, გაჰქრებიან, იცვლებიან... ოცნებას სინამდვილის ხორცი შეუსხამს,— ოცნებაზ სოლომონს ძილში განსახიერებია...

ცის ლაჟვარდი დაშვებულა ძირს და გადაფარებია დედა-მიწას. სოლომონის ბაღჩას მოხვევია იგი, ჩაჰხუტებია უხვ გულმკერდში და მწყურვალედ დასწაფებია ბაღჩის ცხოველმყოფელს ნექტარს... ბაღჩასაც მორცხვად გაუწვევია მისთვის ალისფერი ტუჩები... აგზნებულა.

ფართოდ გაუღია ცას თვალი და დასცქერის ბაღჩას. აქა იქ სანთლებიც კი ბჟუტავს. ბაღჩა მინდობია ლაჟვარდს და მის სამოსელში გახვეულა.

ღამეს მოუწვევია თავისი მესაიდუმლეები და აუმეტყველებია. ოქროს სიმები გაუბამს ნარნარს სივრცეში და ჯადოსნურ ჰანგზე შეუთხუზავს ჰიმნი.

ყური მოჰკრა მან ღამის ჰიმნს... ესმის მომხიბლავი, მომაჯადოებელი ჰანგები! უეზერს კიდევაც უხილავს სიმებს და ღამის თითონ შეახოს მათ ხელი! რატომ თითონ? მან იცის ერთი ხმა, რომელიც არ ესმის. მას სურს ამ ხმის მოსმენა! დიაღ, თითონ თავის ხელით ამოძრავებს იგი იმ სიმს!! სწორედ იმ სიმს, რომელიც მისი ბაღჩის ყვავილთ ეხება, მათზე გადადის, ციდან დაშვებულა და ცაშივე მიდის. მხოლოდ იგი შეჰქმნის იმ ხმას..

ის ხმა არც ლაჟვარდისაა და არც ცის, არც ღამისაა და არც ბაღჩის.

ის ხმა ლაჟვარდის, ღამის და ბაღჩის ხმაა მასში გაჰანგებული.

კი... ის ეხლავე მოსდებს ამ ხმას ქვეყანას, ქვეყანას კი არა—მთელს სამყაროს. მის განზრახვას კიდევაც მიხვდნენ:—

ვარდს გაუღია გული, გაუშლია ტუჩები, სმენად გადაქცეულა.

ზამბახს ყელი მოუღერებია, გამართულა და თეთრს მკერდიდან თამამად გამოუჩენია ძვირფასი უმანკოება.

შრომანა გაოკებული და ბედნიერების მოლოდინში, აკანკალებული სახით გადაჯდომია მწვანე ფოთოლს.

იას აუციმციმებია სახე.

ბუნებას მოუკრებია თავისი იდუმალი ძალები.

აი ის სიმიც...

ათრთოლდა სოლომონი! წინდაწინვე განიცდის ნეტარებას. მას იდუმალ ესმის ის ხმა.... წინდაწინვე ავსებს მის სმენას, ხიბლავს, იტაცებს.

კრძალვით გაემართა სოლომონის ხელი სიმისაკენ... მაგრამ ცახცახით შეჩერდა ჰაერში. სიმს ვერ მისწვდა...

... ცა ანთებული ისევ დაჰყურებს ბაღჩას. ლაჟვარდი ნაზი ისევ ეხვევა ყვავილთ. სიმთა ჟღერა კვლავ გაისმის სივრცეში.... სოლომონის თვალწინ მიბნედილს სინათლეზე კვლავ ელვარებს სიმი, ასე ახლოდ დაშვებული, მაგრამ მიუწდომელი...

ცრემლები მოადგა სოლომონს თვალებზე, ღაწვზე დაეშვა, ერთიც გაიელვა მთვარის შუქზე და ბაღჩას დაეპკურა.

შეკრთა ბაღჩა, დაიშრიალა და განეყარა ლაჟვარდს.

გული დაწყდა იავარდს... ცრემლმა დათუთქა ყვავილები. სძინავს სოლომონს თავის ბაღჩაში..,

ათასნაირად გამოს ახვია მას სახეზე სულის კვეთება... ტკბილი ოცნება მწარე სინამდვილედ გადაჰქცევია ძილში.

**ლელო ქიაჩელი.**

## † ვიოლონისტ-ვირტუოზი დავით გრიგოლის ძე დავითიანი

მწუხარებით სავსე გულით ძნელია ჩემთვის დავწერო ჩემი საუკეთესო მეგობრის, დავითიანის ბიოგრაფია. მაგრამ, რადგანაც ჩემზე უკეთესად მას ვერავინ იცნობდა, ამისათვისაც შეძლებისადაგვარად გავაცნობ მკითხველებს განსვენებულის ხანმოკლე სიცოცხლეს.

დ. დავითიანი დაიბადა ქ. ტრაპიზონში (ოსმალეთი) 1880 წ. სწავლა განათლება მიიღო ვენეციის მხითარისტების სასწავლებელში, საიდანაც გადავიდა იმავე ვენეციის კონსერვატორიაში, რაც დაამთავრა 1897 წ. იქიდან ბრიუსელს გაემგზავრა და შევიდა ადგილობრივ კონსერვატორიაში და შეგირდად შეიქმნა სახელ-განთქმულ ვიოლონისტის თომსონისა, რომელიც აღტაცებული იყო მისი ნიჭით და რომელმაც მას დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა.

1900 წ. მან გაათავა ბრიუსელის კონსერვატორია, საიდანაც იგი მოიწვეს სკრიპკის მასწავლებლად ეტტერბეკის კონსერვატორიაში, სადაც დაჰყო 3 წელიწადი. შემდეგში დავითიანი პრაგაში გადავიდა და მეცადინეობდა სახელ-განთქმულ ვიოლონისტ შევჩიკთან.

1904 წ. დაბრუნდა ბრიუსელს სადაც ეგზამენი დაიჭირა და ცნობილ პროფესორთაგან შემდგარმა ჟიურიმ მას მიანიჭა „Prix de Excellance“-ს (უპირველესი პრიზი). ამის შემდეგ მან იმოგზაურა ევროპის სხვა და სხვა დიდ ქალაქებში, ყველგან გამართა კონცერტები. ამ კონცერტებმა გამოიწვია ევროპის გაზეთების ქება-დიდება.

1906 წელს იგი კავკასიაში ჩამოვიდა და კონცერტები გამართა ქუთაისში, ბათომში, ბაქოში, ალექსანდროპოლში, ერევანში, სურამში აბასთუმანში, ბორჯომში და სხვა ადგილებში, მაგრამ სომხის საზოგადოებამ იგი ღირსეულად ვერ დააფასა. ორი წლის წინედ იგი ოსმალეთს გაემგზავრა და კონცერტები გამართა ტრაპიზონში, სამსონში, სტამბოლში და ოსმალეთის სხვა და სხვა ქალაქებში. რამდენიმე თვის წინედ მან კონცერტები გამართა ეგვიპტის კაირი და ალექსანდრიაში.

ამ ზაფხულს იგი ამერიკას უნდა წასულიყო, მაგრამ უმოწყალო სიკვდილმა აღარ დააცალა და აპრილის 25 ს ოსმალეთის ქალაქ მარზვანში უეცრად გარდაიცვალა სკრიპკაზე დაკვრის დროს... როგორც ციცინათელა ეტრფის და ტრიალებს ცეცხლის გარშემო, ვიდრე ძალ-ღონე გამოლეული იმავე ცეცხლის მსხვერპლად გახდებოდეს, ისევე საცოდავი დავითი ეტრფოდა თავის სკრიპკას, ვიდრე მისივე მსხვერპლი არ შეიქმნა.

თითონ ვე გრძნობდა, რომ სკრიპკის ამონაკვნესი ხმების და ვაების ზვარაკად უნდა გარდაიქცეს, რასაც მე მეუბნებოდა მრავალჯერ, მაგრამ მაინც ხელი არ აიღო სკრიპკაზე. განა ხელოვნების მოსიყვარულე ქურუმს შეუძლია ადვილად თავი გაანებოს თავის სატრფო ხელოვნებას?

როგორი იდეალები, მისწრაფებანი ჰქონდა განსვენებულს, მაგრამ ყველა ეს დაუსრულებლად დარჩა. „ძმაო, უნდა ევროპას წავიდე, უნდა ვიმეცადინო თომსონთან, შევჩიკთან და მათ მოადგილედ უნდა შევიქმნა. ხოლო შენ როდესაც ყურს დამიგდებ, გაგეხარდება, ვინაიდან მე შენ გიყვარვარ, მე შენს გულში ვარ“, ა რასა მწერდა საცო-

# მკითხველის შენიშვნები

ეროვნება არ არის შემთხვევითი და წარმავალი მოვლენა: იგი ერთეული სახეა მსოფლიოს მუდმივი პროცესისა. **ზ. ჭ.**

მართალი გითხრათ, როდესაც „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე ბ-ნ არ. ჯ-შვილის ფელეტონებს წავაწყდი „გაუსწორებელი დოგმატიკოსები“-ს სათაურით, ბრაზი მომივიდა და გაზეთი ხელიდან გავაგდე. როგორ, ვიფიქრე, ნუ-თუ აღარ მოსწყინდათ ერთი და იმავე ამბის ათასჯერ გამეორება, ერთი და იმავე მტრის წინააღმდეგ ამდენი ტყვია-წამლის ხარჯვა!.. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ გაზეთი ისევ ავიღე და გადავათვალიერე მოვინდომე; წარმოიდგინეთ, ამ წერილებმა ისე გამიტაცეს, რომ მოუთმენლად ველოდი მათ გაგრძელებას. გადავიკითხე კიდეც და გულით მადლობა ვუთხარი ავტორს, რომ მე და ჩემებრ სხვანიც, ერთხელ კიდევ დაგვაფიქრა ამ მუდამ ძველ და მუდამ ახალ საკითხის გადაწყვეტაში.

მაშინ კი ნათლად გავიგე ჩემი აჩქარება და შეცდომა. მივხვდი, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ერთ და იმავე აზრის განმეორება ცოდვად კი არ ჩაითვლება, არამედ პირდაპირ აუცილებელი ხდება; უნდა ლაღადებდე, სანამ შენ მიერ აღიარებული ჭეშმარიტება ყველასათვის დღესავით ნათელი არ გახდება, სანამ ობსკურანტებიც კი „მეტ სინათლეს“ არ მოიწყურვებენ.

ეროვნულმა საკითხმა ჩვენი ახალგაზდობა იმთავით ორ ბანაკად გაჰყო, თითოეული მათგანი თავისებურად სწყვეტდა მას.

დრო გადიოდა და ინტელიგენციასაც გამოფხიზლების ნიშნები ეჩნეოდა, მისი კრიტიკული აზროვნების ჰორიზონტი თანდათან ვითარდებოდა და იზრდებოდა. ფაქტები? შეიძლება იკითხოს პატივცემულმა მკითხველმა. ამისათვის შორს არ წავალ. მოვიგონოთ ახლო წარსული, გადაათვალიერეთ „კვალი“-ს უკანასკნელი ნომრები და უმთავრესად ჟურ. „მოგზაური“-სა, გადაიკითხეთ დაკვირვებით ამ ჟურნალის მაშინდელ სულის ჩამდგმელის ფილ. მახარაძის წერილები და თქვენც დამერწმუნებით, რომ ამ უკუღმართ დედამიწაზე ყველაფერს ეჩვევა ადამიანი და არც არავის ანცვიფრებენ „საქმენი საკვირველნი“. მე კარგად მახსოვს ეს დრო, მაშინ თითოეული სტრიქონიამ ჟურნალისა ჩემი მრწამსი იყო, თითოეული სიტყვა ბ-ნ მახარაძისა და Ko-იის კანონად მიმაჩნდა. სამჯერ და ოთხჯერ გადავიკითხავდი ხოლმე ამ წერილებს და ბრაზით ვივსებოდი იმათ წინააღმდეგ, ვინც თავისს იდეალად ეროვნული იდეალი დაისახა. როდესაც საჭირო იყო ერთობა, კავშირი, სოლიდარობა და სხვ. ამგვარები, ესენი თავისკენ იწიწებოდნენ, თავის „მეზედ“ ზრუნვა მათ ყველაფერს ავიწყებდა, სხვა ერებს უპირდაპირებდნენ თავის ერის ინტერესებს და ისედაც სუსტ ძალებს უფრო ქსაქსავდნენ და არღვევდნენ.

განა ეს ღალატად არ ჩაითვლება? აი რამდენად დაბრმავდა ეს ჯგუფი, რომელიც მშრომელი ხალხის დროშის ქვეშ გამოდიოდა. აი ის მრწამსი, რომელიც „მოგზაურმა“ შეგვიმუშავა მაშინდელ ახალგაზდობას ნაციონალისტების ბანაკის შესახებ. ყველა ეს რა თქმა უნდა, უფრო ზრდილად, მალულად და რბილად იყო ნათქვამი ჟურნალის ფურცლებზე, მაგრამ ამას ნათლად კითხულობდა თითოეული ჩვენგანი სტრიქონებს შუა.

განვლო დრომ, დაცხრა ვნებაც, ხანგრძლივმა დაკვირვებამ და ცხოვრების კანონებმა სულ სხვა გვიკარნახა; ჩვენთვის ცხადი შეიქმნა, რომ ეროვნულ იდეალის დასახვა სხვის შექმას არ მოასწავებს. ამ ხანებში ცენტრალისტების ჯგუფშიაც თვალსაჩინო „გადაფასება“ ხდება. ისინიც აღნიშნავენ, რომ სეპარატიზმი, შოვინიზმი, ნაციონალიზმი, ყველა ეს ერთი და იგივე არ არის და არც ყველანი ღაღადებენ კაციჭამიანობას.

მათ ბანაკშიაც დიდი აურ-ზაური ტყდება, რომლის შედეგად უნდა ჩაითვალოს ჟურნ. „ახალი კვალი“-ს დაარსება. უკანასკნელნი ჩვენი ნაციონალისტებიდან ცოტა-რამეთი და თუ გაირჩეოდნენ. ახალგაზდობაში სიმპატია უმთავრესად ამ ჯგუფმა მოიპოვა, რადგანაც ის არ იყო „გაუსწორებელი დოგმატიკოსი“ და ძველი „მამა-პაპები“-ს მცნებას ცხოვრების გაკვეთილი დაუყენეს წინ. ერთი ჯგუფი ამ დროსაც არ შორდებოდა ძველ ტრადიციებს და ერთხელ აღიარებული პრინციპი ცენტრალიზმისა მისთვის ალფა-ომეგა შეიქმნა, რომლის ოდნავად შეცვლაც-კი მომაკვდინებელ ცოდვად ჩაითვლებოდა.

მართალია ჩვენში ნაციონალისტებისკენ გადახრა ერთგვარ სიმპატიას იწვევდა, მაგრამ არც ძველ ტრადიციებიდან განშორება გვასიამოვნებდა. ჩვენ ისეთ პოზიციას ვირჩევდით, რომელიც ვერც ჩვენ ძველ ქერქს უარჰყოფდა და ვერც ახალს სავსებით მიიღებდა. ამ ხანებში ბრალდების უმთავრესი დებულებანი სულ სხვა ადგილას გადავიტანეთ ხოლმე.

„კარგი“, ვამბობდით ჩვენ, „დაგეთანხმებით, რომ საჭიროა დაცვა ჩვენი ეროვნულ „მე“-სი. მშვენიერია ყველა ეს, მაგრამ ნუ თუ გინდათ, რომ ჩვენი ძალები აქეთკენ მივმართოთ და ეს გავხადოთ პირველ ხარისხოვან საკითხად. რა გინდათ უყოთ მუშათა კლასს, რომელსაც თქვენი იდეალი კუჭს ვერ გაუძღობს. თუ კი მართლა საერთაშორისო სოციალიზმს, რომელიც მუშათა კლასს იდეალად გაუხდია, ჩვენ წინ დავუყენებთ ეროვნულ იდეას, ამით, ცხადია, ვულალატებთ მას, დავასუსტებთ მის ძალებს და გავაგრძელებთ გზას მომავალისას.

აი ის საშუალო პოზიცია, რომელიც მაშინ ინტელიგენციის ნაწილმა აირჩია; იგი თითქოს „არც მწვადს სწვავდა და არც შამფურს“, ეროვნულ პრინციპს არ უარჰყოფდა, მაგრამ მას არც უახლოეს მიზნად ისახავდა.

რასაკვირველია ახალგაზდობა ამნაირ ორჭოფულ მდგომარეობაში დიდხანს ვერ დაჰყოფდა, თუ კი მიზანი მისთვის ნათელი იქმნებოდა, როგორ შეეძლო მას ამავე დროს მისკენ არ მიემართა თავისი ძალები?

ყველასათვის ცხადი ხდებოდა, რომ მიუხედავად სოციალიზმის დადებით მხარეებისა, უნდა არსებობდეს ეროვნული იდეალიც.

ჩვენც მიმოვავლეთ გარემოს თვალი და მივხვდით, რომ საამისოს „მშობელი შობილს არას გვეტყოდა“, მივხვდით რომ „ეროვნების ბურჯს“, ჩვენ დედა-ენას, თუ ამ უკუღმართ გზით გვატარა ისტორიამ, დიდი ხიფათი მოელის და ეს ხომ ყველამ უწყის, რომ: „რა ენა წახდეს ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას“, მივხვდით, რომ ქართველობა, ჩვენი ზნე-ჩვეულება, ლიტერატურა და ისტორია, ყველაფერი ეს განდევნილია და განკიცხული, მაინედ ცნობილი, მივხვდით ყველა ამას და თითოეულ ჩვენგანს ნაღვლიანად ჩაეცინა, რა მოაგონდა უმიზნოდ და უაზროდ დაკარგული შრომა და ენერგია. ჩვენ ჩვენი თავი შევადარეთ, იმ მახინჯ მონებს, რომლების დასურათებაში მხატვარმა ივანოვმა დიდი მადლობა, ჯილდო და ფული მიიღო. შეიძლება გინახავთ, მკითხველო, ეს სურათი („головы рабовъ“). თუ ჰო, დარწმუნებული ვარ, თქვენს ყურადღებას მიიქცევდა ეს დასახიჩრებული, ყურებ მოჭრილი, თმა აბურძგნილი, ათას ადგილას დადაღული სახეები, სახეები, რომლებზედაც სულელური, უშინაარსო და უაზრო კმაყოფილება და ღიმილი გამოიხატება. განა ვინც ამ სურათს დაჰკვირვებია, ნ. გოგოლთან ერთად არ წამოუძახია გულნატკენად: „эх, как страшно за человѣчество!“... აი რა ძნელია ადამიანობის დაკარგვა, გადაგვარება, მონობის ფსიხიკის შესისხლ-ხორცება...

რა თქმა უნდა, ჩვენთვის ძვირფასია დიადი მიზანი, რომელსაც მთელი კაცობრიობა ისახავს, მაგრამ თუ ჩვენ ამ პროგრესის გზაზე გვეღობებიან,

დავი ჩემი ძმა და ძვირფასი მეგობარი, დაუვიწყარი დავითი.

განსვენებულის საყვარელი კომპოზიტორები იყვნენ სარაზატი, ვენიავსკი, ბეთჰოვენი, პაგანინი, შოპენი და სხვანი, რომლების მუსიკალურ ნაწერებსაც იგი დიდის აღტაცებით უკრავდა. სხვათა შორის მან დაუკრა განსვენებული ნ. ვაბუნიის იუპილეის დღეს, ბ. ქართველიშვილის აკომპანიმენტით. იგი თანამშრომლობდა ი. იმედაშვილის „თეატრი და ცხოვრებაში“, სადაც მოათავსა რამდენიმე წერილი, და მათ შორის, ერთი საუკეთესო სურათი აღებული ბეთჰოვენის ცხოვრებიდან.

განსვენებულს ჰქონდა თვისი კომპოზიციებიც, რომელნიც საუკეთესო ნაშრომებად ითვლება.

იგი ახლო მეგობარი იყო სახელგანთქმული კომპოზიტორების სარაზატესი, იზაისი და კუბელიკისა.

ქართველი საზოგადოება მას კარგად იცნობს, ვინაიდან მან მრავალჯერ კონცერტები გამართა დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში და საგარაკო ადგილებში. განსვენებული ზრდილობიანი ევროპიელი იყო. მან იცოდა კარგად ფრანგული, იტალიური, ინგლისური, ხოლო ქართულად და რუსულად ცოტათი ლაპარაკობდა.

ორი წლის წინედ, როდესაც ა. მანთაშევის მეუღლე გარდაიცვალა, მან დასწერა ერთი „Marche Funèbre“ და უძღვნა განსვენებულს. ჩვენმა თანამემამულე კომპოზიტორმა ყარაშვილმა კი მისი ეს კომპოზიცია გადააკეთა სამხედრო მუსიკისათვის.

1909 წ. განსვენებული ერთი წლიწადი მუსიკის მასწავლებლად მიიწვიეს სომეხთა ნერსესიან სემინარიაში, მაგრამ მისმა გრძნობიერმა გულმა ვერ აიტანა შინაგანი ინტრიგები, რის გამოც მან მასწავლებლობას თავი დაანება.

აი ამ გვარი უდიდესი ადამიანი დაკარგა, 32 წლის, ახალგაზდა ასაკში, ხელოვნებამ და სომხის ხალხმა.

რომ შესაძლებელი იყოს უფრო ვრცელი დახასიათების და ბიოგრაფიის დაწერა, ამისათვის საჭიროა მშვიდი გული, ნორმალური მდგომარეობა, რომლებსაც მოკლებული ვარ, ვინაიდან დავკარგე საუკეთესო ძმა და დაუვიწყარი მეგობარი. მისმა სიკვდილმა ჩემი გული საშინლად დაჰკოდა და იგი დიდხანს არ გამთელდება.

საყვარელო დავით! მუხლ მოდრეკილი, ქედ მოხრილი შენს საფლავის წინაშე ვსტირი მწარე ცრემლებით შენს სიკვდილს. შენი ბრწყინვალე სახე უკვდავი იქმნება ჩემს გულში. განისვენე მშვიდობით. Sit tibi terra levis.

არტემიუს.

## ალბანეთის აჯანყება

იტალიის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს ოღონდ ალბანელების მომხრე იტალიელების ალბანეთში წასვლას ხელი შეუშალოს. იტალიის სკუტარიის ელჩს თურღუთ-ფაშისთვის იტალიის მთავრობის გადაწყვეტილება უცნობებია და უთხოვნია, თუ ვინმე ისეთი იტალიელი შეგხვდეთ, რომელიც იარაღს ავრცელებდეს, ან აგიტაციას ეწეოდეს, ალბანეთიდან გასდევნეთო. თურღუთ-ფაშას კი „რუსსკოე სლოვოს“ კორესპონდენტისათვის უთქვამს, რომ იტალიელი მეომრები ალბანეთში შემოსვლას ვერ მოახერხებენ, რადგანაც საზღვრები კარგადა გვაქვს გამაგრებულიო. მათ შეუძლიანთ ჩერნოგორიაზე გამოიარონ, მაგრამ თუ ჩერნოგორია ამას ჩაიდენს, ნეიტრალიტეტს დაარღვევსო.

მიუხედავად ყველა ამნაირ გაფრთხილებისა და სისასტიკისა, იტალიელ კომიტეტს „Pro Albania“ს, რომელსაც ალბანეთის დახმარება აქვს მიზნად, ამ დღეებში ალბანეთში 2.000 თოფი და საკმარისი რიცხვი პატრონა შეუტანია. ეს იარაღი მირიდიტელებს ურიგდება. ამავე დროს მირიდიტელებში იტალიელები აგიტაციას ეწევიან, აჯანყებას მიემხრენითო.

სკუტარიასა და სკუტარიის ვილაეტში საალყო წესებია გამოცხადებული. ამან ალბანელებზე ცუდად იმოქმედა.

## მოწერილი ამბები

**ს. ნიგოითი** (გურია). ვისაც ეს უკანასკნელი ხუთი წლიწადი სოფლად გაუტარებია, უსათუოდ შეამჩნევდა, რომ სოფელში ის სიცოცხლე აღარ არის, რაც უწინ იყო. წინად თუ ყოველ შეხვედრაზე კითხვით მოგმართავდნენ „რა ამბებია გაზეთშიო“, დღეს სრულიადაც არ აინტერესებთ ეს. წინად თუ თავგამოდებით ცდილობდნენ საზოგადო სასარგებლო დაწესებულების შექმნისთვის, ეხლა სურვილსაც ვერ აღუძრავთ მათ. მთელი აქაური გლეხობა ბანკის მიწებს ამუშავებს. ბანკმა ამას წინად უფრო უვარგისი პირობები გამოუცხადა გლეხებს; ეს უკანასკნელნი კიდევ გადაუწყვეტელ აზრს ადგანან; თავისი მიწა არ აქვთ, და დაამუშავებენ ბანკის მამულებს თუ არა, გამოურკვეველია, არც ერთი ღერი ჩალა არ წაუქცევიათ ჯერ. ეხლა რომ ბანკმა პირობები შესცვალოს, გლეხებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს და ბუნებამაც ხელი შეუწყოს, რა უნდა გახდეს გლეხი, როდესაც ცალ-პირადაც მიწა არ აქვს მოხნული და თესვის დროც მიდის! ასეთ მდგომარეობაში მუდამ გლეხებისათვის, კარგი იქმნებოდა შეთანხმება და საერთო ძალ-ღონით საქმის მოგვარება. მაგალითად გლეხებს შეუძლიანთ, ბანკისაგან ნაწილ-ნაწილად გამოისყიდონ მამული ან კიდევ რამდენიმე წლით იჯარით აიღონ. შეთანხმებითვე შეუძლიანთ სხვა და სხვა კულტურულ დაწესებულებათა დაარსება; მაგრამ გლეხები ყველა ამას გაურბიან. აი ამისი მაგალითიც: მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა აღუთქვა ნიგოითს პრაქტიკული სამეურნეო სასწავლებლის დაარსება და 2000 მანეთიც წლიურად, თუ სოფელი შენობას ააგებდა და საჭირო მიწასაც მისცემდა. საზოგადოებამ უარი უთხრა. შემდეგ იკისრა ამ სასწავლებლის გახსნა ერთმა სოფელმა, რიცხვით 100 კომლმა. მეორე მაგალითი. აქ მდინარეები არ არის, თუ არის, ყველა ზაფხულობით შრება. ამიტომ მცხოვრებნი იძულებული ხდებიან ერთი დღის სავალზე ზიდონ სიმინდი დასაფქვავად. წინად სურვილი იყო გლეხებში ორთქლის, ან ქარის წისქვილი მოეწყოთ. ამიტომ აქაურმა მცხოვრებმა ბესარიონ გოგეშვილმა გამოიწერა ამერიკიდან პატარა თავისი მოწყობილობით, მას სურდა თავისი თანხით აეგო და ემუშავებია თავის სასარგებლოდ, მაგრამ პირობებმა ხელი შეუშალა ამ კანზრახვას. მაშინ მან მოინდომა პატარის გადაცემა საზოგადოებაზე. საზოგადოების დიდმა ნაწილმა ამაზედაც უარი განაცხადა, თუმცა ბევრი გვარწმუნებდა, წისქვილი შემოსავლიანი იქმნებოდაო. მესამე მაგალითი. ამას წინად აქ შემთხვევით ურიდობას ბ. ი. ქუთათელაძე დაესწრო, რომელმაც გააცნო ხალხი „წვრილ კრედიტის ამხანაგობას“ და ურჩია ხალხს ასეთი ამხანაგობის დაარსება. ბევრმა ასეთი რჩევა საუბრად ჩასთვალა, განსაკუთრებით წინააღმდეგი იყვნენ სოფლის ვაჭრები, რომლებიც თუმანზე თვეში აქვს მაურს ახდევინებენ სარგებლად. ასეთ პირების ზეგავლენით შეცნებული გლეხები უარს ამბობენ საკრედიტო ამხანაგობის დარსებაზე. ამ პატარა სოფელში (500 კომლია) შედარებით ინტელიგენტთა რიცხვი საკმაოა: 6 მასწავლებელი, 4 მღვდელი, სადგურის უფროსი ორი თანაშემწით და ტელეგრაფისტით, ფოსტის ზარი სამი ფერშლით. ამათ ყოველნაირი ზომები უნდა მიიღონ, რომ გლეხ-კაცობა ცოტათი მაინც არის კამოფხიზლდეს. თორემ ასეთი სიძნელე ხეირს არაფერს მისცემს მათ.

ერ. ნიგოითელი.

—

**ქ. ახალციხე.** ადგილობრივ ქართველ-კათოლიკეთა წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, რომელიც ორი-სამი წლის წინად დაანგრია მღ. მიხ. გარძელაშვილმა კი უკვე დაამთავრა ახალი შენობა მანვე. დანგრევის დროს, ძველ კედლებში ჩატანებული ათას წლიანი ქართული წარწერილი და მშვენივრად მოჩუქურთმული სათვალავის ქვები სრულებით დაამტვრია მღვ. გარძელაშვილმა და მით მოსპო ამიერიდან ჩვენი ძვირფასი ისტორიული წყაროები. ამის თაობაზე 1908 წლის გაზეთ „ნიშადური“ს 50 ნომერშიც იყო მოთავსებული სავალალო წერილი, სათაურით „არხეოლოგიური ნაშთების შემუსვრა-განადგურება ჩვენში“, ამ წერილმა დიდად შეაშფოთა და აათვალცრემლა ყველა შეგნებული ქართველი.

ახლად აშენებულმა ეკლესიამაც ხომ მსგავსი სამწუხარო ამბავი გამოიწვია მღ. გარძელაშვილისგნით.

საქმე იმაშია, რომ ამ ეკლესიის დანგრევა-აშენებისთვის არჩეული იყო კომიტეტი, რომელსაც თავმჯდომარეობდა მღ. გარძელაშვილი. მამა თავმჯდომარემ ისე დაანგრია ძველი და გააშენა ახალი ეკლესია, რომ კომიტეტის ერთი წევრიც-კი არ გარია საქმეში. დღესაც არც ერთმა წევრმა არ იცის, რა დაიხარჯა ამ ეკლესიის დანგრევა-აშენებაში.

იცის მხოლოდ ის, რომ ეკლესიას თავისი საკუთარი ფული ჰქონდა 17,000 მანეთი, 3000 მანეთი ამავე ეკლესიის სამრევლო სკოლის საწარმოვო ფონდი და 6000 მანეთიც მამა გარძელაშვილის შემოკრეფილი ფული.

ეკლესიის აშენების შემდეგ კი 2000 მანეთი ვალი დარჩენილა, მღ. გარძელაშვილის სიტყვით. როგორც ეტყობა, ნაღდი ფული სრულიად დაუხარჯავს და მასთან ერთად სკოლის საწარმოვო ფონდიც!

ამშენებელმა კომიტეტმა ამის თაობაზე, აღძრა რამდენიმეჯერ საჩივარი არხიმანდრიტ ტერ-აბრამიანის წინაშე; და მასთანვე ერთად, იმის შესახებ, რომ ეკლესიის გეგმა საგუბერნიო ამშენებელ განყოფილებისაგან განხილული და გუბერნატორისაგან დამტკიცებული არა ყოფილა. კომიტეტი სთხოვდა არხიმანდრიტს ეკლესიის შენობის ტეხნიკურად შემოწმებასაც, მაგრამ არხიმანდრიტმა ორივე საკითხი უყურადღებოდ დასტოვა: ეხლა, როგორც გვიგეთ, კომიტეტს მეორედ აღუძრავს საჩივარი.

ქართველი-კათოლიკე.

## უცხოეთი

**რუსეთ-ჩინეთის დამოკიდებულება.**

მუკდენში ჩინელებმა სიკვდილით დასაჯეს ერთი აფიცერი, რომელმაც რუსებს მანჯურიის ქარტები მიჰყიდა.

მიუხედავად იმისა, რომ მანჯურიაში ჩინელებს ჯარი ბლომადა ჰყავთ, მაინც კიდევ მოჰყავთ, ვითომ-და ხუნხუზებთან საბრძოლველად. მაგრამ ეს ხუნხუზებს ხელს არ უშლის, რომ რუსების გემებსა სროლა აუტეხონ და რუსების კონცესიებს თავს დაესხნენ ხოლმე. როცა რუსეთის ელჩმა ჩინეთის მთავრობას ამის შესახებ განცხადება წარუდგინა, ჩინეთის მთავრობამ უპასუხა: განა კონცესიების უფლება რომ მოგეცით, მათი დაცვაც ჩვენ ვიკისრეთო? ამასთან ხუნხუზებს ჩინეთის ჯარისა, როგორღაც, არ ეშინიანთ.

ამასწინედ ხუნხუზებმა რუსების გემს სროლა აუტეხეს. საქმე ასე ყოფილა: ხუნხუზებს სდომებიათ დაეტუსაღებინათ გემზე მყოფი რუსის ელჩი და მერე მის გამოსასყიდლად ფული ეთხოვნათ. ბრბოში სულ 100 კაცი ყოფილა, მაგრამ ზოგს, რომელნიც გემზე მგზავრების სახით უნდა ჩამსხდარიყვნენ, დაჰგვიანებოდათ ამიტომ წადილი ვერ აისრულეს.

**მაროკო.**

პარიზში აჯანყებულმა მაროკოელებმა თავიანთი მოწოდება გამოსცეს. მოწოდებაში ნათქვამია:

„ჩვენ აჯანყებული მაროკოელები, ვაცხადებთ, რომ ევროპიელთა წინააღმდეგ თავის დღეში არაფერი არ გვქონია. ჩვენ შეგვეძლო შერიფთა ჯარი გაგვეწყვიტა, მაგრამ ეს იმიტომ არ ჩავიდინეთ, რომ ევროპიელთა სისხლი არ დაგვენთხია. დაე ქვეყანამ იცოდეს, რომ ჩვენი ერთად-ერთი მიზანი სულთან მულაი-ჰაფიდის ტახტიდან ჩამოგდებაა. სულთანის ვერაგობა მთელი ქვეყნისთვის სამარცხვინოა. მხეცისავით იქცევა: თავის მოწინააღმდეგეთ ხელებსა ჰკვეთავს, ენებსა ჰგლეჯს, თვალსა სთხრის, ჰყრის ორმოებში, სადაც მათ მხეცები ჰგლეჯავენ. ლოთი და გარყვნილი, იგი გვტაცებს ცოლებს და ქალებს. მისი მოხელენი ხალხსა ჰყვლეფავენ. ნება მოგვეცით სულთანი გამოვიცვალოთ და ჩვენში ყველაფერი დაწყნარდებაო“.

ლონდონში ხმა გავრცელდა, რომ სულთანი მულაი-ჰაფიდი „მექინეცში სულთანად გამოცხადებულ ელ-ცინს დაჰნებდაო. რამდენად მართალია ეს ხმები, არავინ იცის.

**სპარსეთი.**

სამინისტრო კომბინაცია სერდალ-ასადის შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნისა სამუდამოდ ჩაიშალა. სამხრეთის დეპუტატებმა, რომლებიც კონსერვატიულ კაბინეტს მხარს უჭერდნენ, განაცხადეს, თუ ახალ სამინისტროში შევა, მაშინ მთავრობის საწინააღმდეგოდ კაშკაიცელებს და არაბებს აგიჯანყებთო. საპეხდარი კაბინეტის სათავეში რჩება. შინაგან საქმეთა მინისტრის ადგილი ისევ თავისუფალია.

ყოფილ შახის ძმა საფარ-უმ-დოულე, რომელიც სპარსეთის რევოლიუციის დროს ვარშავაში სცხოვრობდა, ეხლა ქურთებშია და აგიტაციას ეწევა. იგი ქურთებს აგულიანებს, თეირანს დავესხათ თავსა და მმართებლობა ხელში ჩავიგდოთო.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 მაისი.

### საზღვარ-გარედ.

**ბერლინი.** რეიხსტაგის კომისიამ მიიღო ელზას-ლოტარინგიის კონსტიტუციის კანონ-პროექტი, მხოლოდ ცოტა შესწორებანი გაუკეთა. შესწორებანი სარწმუნოებასა და ენას ეხება. კომისიამ დაადგინა, საქმის წარმოებაში გერმანული ენა უნდა იხმარონო, ფრანგული ენა კი იქ დარჩება, სადაც მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ფრანგულს ლაპარაკობს.

ელზას-ლოტარინგიის ნამესტნიკს უფლება ეძლევა ნება დართოს სწავლებაში ფრანგულის ხმარებისა.

**ხანკოუ.** მრავალ-რიცხოვან მიტინგზე ხუანის პროვინციაში დაადგინეს: რადგანაც რკინის გზები ხაზინის ხელში გადადის, ხარჯებს ნულარ გავიღებთო. გუბერნატორმა კრებას ხელი ვერაფრით შეუშალა. კენერალ-გუბერნატორმა ბრძანა, უცხოელებს უდარაჯეთო.

**მექსიკა.** ოფიციალურ ცნობებით, პრეზიდენტი დიაცი სამსახურს თავს დაანებებს 11 ან 12 მაისს.

**პეკინი.** პრინცი ჩეკრაბონი ხარბინისაკენ გაემგზავრა.

**ბერლინი.** ლანდტაგი. პოლონელთა მიწების შესახებ კამათის დროს, პოლონელმა ტრანიჩენსკიმ განაცხადა, პოლონელები თავიანთ ეროვნებას უარს ვერა ჰყოფენო, ვერ შეურიგდებიან იმ აზრს, რომ პოლონელთა ეროვნება გერმანელთა ეროვნებაზე ნაკლებ დააფასონ. პრუსია ეროვნული სახელმწიფო კი არ არის, არამედ ეროვნულ უმრავლესობისაა. პრუსიის პოლიტიკა პოლონურ საკითხში მხოლოდ გერმანიის ინტერესებს იცავს. პოლონელებისადმი მიმართული თანამედროვე პოლიტიკა და პოლონელების მიწების ძალად მიმთვისებელი კანონი სამართლიანობას ეწინააღმდეგება. თუ ამ კანონს მიიღებთ, პოლონელები საიმპერიო უფლებას მიჰმართავენ. პრუსიის საკანონმდებლო დაწესებულებანი სუვერენული არ არის, პირიქით, შეზღუდულია საიმპერიო კანონმდებლობით.

**ლივერპული.** ოფიციალური ხელმძღვანელი წრეები მეზღვაურთა საერთაშორისო გაფიცვის შესახებ ჯერ-ჯერობით ვერაფერს ამბობენ, მაგრამ ჰგონიათ კი, რომ ეს გაფიცვა ვერ მოხერხდებაო.

**სტამბოლი.** სელიამლიკის დროს რამდენიმე ქურთი სულთანის ეტლს გარს შემოერტყა. შეიქნა ჩოჩქოლი. ქურთები დაატუსაღეს. ოფიციალურ...

---

თუ ჩვენ დღესვე გაქრობას გვიქადიან, განა არ უნდა გვქონდეს უფლება თითონვე დავიცვათ ჩვენი თავი, მტკიცედ შევინახოთ ჩვენი ინდივიდუალობა, განსაკუთრებული მხარეები, ისტორია და ყველა ის, რაც დაუფასებელია თვით იმ დიად დროისთვის? თუ ერთი დღესვე განადგურდა, გადაგვარდა, რაც მოსალოდნელია დღევანდელ პირობებში, ვინ დაიჭერს მის ადგილს? ხომ მუდამ ცარიელი იქმნება ის ადგილი და სივრცე იდეალურ სამეფოში, ის ადგილი, სადაც ქართველი და ქართველობა უნდა სამარადისოდ აყვავებულიყო. ყველა ამის შემდეგცხადი იყო—ქართველი ახალგაზდობა ვერ დარჩებოდა მტკიცედ ბრუნდ, ორჭოფ გზაზე, რომელიც მან წინად აირჩია; იგი ან ქრისტეს უნდა მიმხრობოდა და ან ფარისეველს. მანაც დატოვა ეს უხერხული პოზიცია. გაიზარდა უკმაყოფილოთა რიცხვი და ბოლოს აღმოჩნდა, რომ ცენტრალიზმის მომხრე სარდლებს ჯარის კაცები შემოეფანტნენ.

ამ ხანებში ბევრმა შეიცვალა აზრი, მათი ცნობაც კი გაძნელდა. მკითხველი ათვალიერებს დღევანდელ ჟურნალ-გაზეთებს, განცვიფრებული მხრებს ზევით სწევს და თავისთვის ბუტბუტებს: „ნუთუ!.. ეს ხომ ის პუბლიცისტია, ის მწერალი, რომელიც... მერე დღეს რამ შესცვალა ამ რიგად?“

ვინ იფიქრებდა ამ რამდენიმე წლის წინად, რომ მაგალითად, ივ. გომართელი შემდეგს დასწერდა: „მთელი ჩვენი ოცნება ფართო ეკონომიურ და საზოგადოებრივ განვითარებაზე დღეს **ცარიელი ოცნებაა**, ქართველი ერის **არსებობის დაცვა**, ქართველ ერის **დახსნა მოსპობისაგან**, აი **უმთავრესი** საკითხი, რაც ყოველ ჩვენგანს **თვალწინ უნდა უდგეს** და სხვ. *)... უწინ ქართველ ხალხს თავისი ტერიტორია მაგრად ეპყრა ხელთ“, განაგრძობს პატივცემული ავტორი, „მისი არსებობა უზრუნველყოფილი იყო, დღეს კი ჩვენი მიწა-წყალი ხელიდან გვეცლება; ის მიაქვთ სომხებს, ოსებს, ლეკებს... ჩვენი ტერიტორია ჩვენი ეროვნების ბოძია, ჩვენი მიწა-წყლის ყოველი გოჯი ჩვენთვის დაუფასებელია“ და სხვ.

შემდეგ ბ-ნი გომართელი გადადის იმაზე, თუ რამდენად განვითარებულია ჩვენში ეროვნული ეგოიზმი, რომელმაც ღრმა ფესვი გაიდგა სომხებში და ებრაელებში, ლაპარაკობს ჩვენ ეროვნულ შეუმცნებლობაზე და სხვათა შორის შემდეგ შესანიშნავ აზრს გამოსთქვამს, აზრს, რომელიც სისწორით ახასიათებს ქართველ ახალგაზდობას და კალმოსანთ ჯგუფსაც. „როდესაც კითხვაო“, ამბობს იგი, „ჩვენ ერს, ჩვენ ეროვნულ საქმეს შეეხება, ყველა ჩვენგანი მორიდებით, **მოკრძალებით, გაუბედავად** ვიქცევით, თითქოს **გვეშინია** „მეზობლებს არ ვაწყენინოთ ან **ნაციონალისტობა არავინ დაგვწამოს**“**).

რა თქმა უნდა, ეს ეტაპიც უნდა გაიაროს ქართველმა ახალგაზდობამ, წინ მას უფრო დიადი მიზანი ხვდება, მაგრამ სასურველი ის არის, რომ შვილმა თავისი მშობელი იცნო და მისკენ იბრუნა პირი. ეს მისთვის დღესავით ნათელია, მას არ აშინებს არც ის, რომ მისი რაზმი, შედარებით, მცირეა, არც ის, რომ ქართველი ერი პატარაა. ჩვენ კარგად გვახსოვს ვიქტორ ჰიუგოს სიტყვები, რომ ერის უფლება და ღირსება ისე არ განიზომება სიდიდით, როგორც ადამიანისა მისი სიმაღლით; მართლაც, მაშინ ყველა აყლაყუდა ხომ დიდი ვინმე იქმნებოდა! „ერი ჩვენთვის იმდენადაა საინტერესო და დაუფასებელი, რამდენადაც იგი სულია ჩვენთვის, სულიერი ოჯახი, სულიერი პრინციპი, რამდენადაც იგი ისტორიული ინდივიდუალობაა (რენანი)“.

ცხადზე ცხადია, რომ დღეს ჩვენმა ახალგაზდობამ თავისი შეხედულება ღრმად შესცვალა; თუ იგი წინად ყურსაც კი არ ათხოვებდა ჩვენ ნაციონალისტებს, მათ მიზანს დაბალ მიზნად სთვლიდა და გვერდს უხვევდა, დღეს ის მათ ყოველ სიტყვას ფასს აძლევს, ანგარიშს უწევს, გვერდს უმაგრებს, მასში იღვიძებს ინტერესი სამშობლო ისტორიისადმი, იგი სცდილობს შეისწავლოს ჩვენი წარსული, ზნე ჩვეულება, ლიტერატურა, ხელოვნება და ყველა ეს უზრუნველჰყოს გაქრობისაგან.

დღეს ყველამ უწყის, რომ კუდმოკვეცილ კოსმოპოლიტიზმის იდეა საშინლად დამარცხდა, ყველამ კარგად ვიცით, რომ უკანასკნელი ხანის დამახასიათებელია ნაციონალური მოძრაობის გაღრმავება და გამწვავება მთელ დედა-მიწაზე; არათუ ისეთ ერებში იკიდებს ფეხს ნაციონალიზმი, როგორც არის: პოლონელები, ჩეხები, ფინები, ლატიშები, უკრაინელები და სხვ., არამედ ბოშათა შორისაც კი (цыгане).

მკითხველმა კარგად უწყის, რომ უკანასკნელთა ნაციონალიზმი უტოპიად უნდა ჩაითვალოს. არა ნაკლები უტოპიაა ებრაელთა სიონიზმი, რომელიც სცდილობს ებრაელთათვის განსაზღვრული ტერიტორია შეიძინოს პალესტინაში, სადაც ხელახლა გაშლის თავის ძლიერ ფრთას ტანჯული შვილი იოგავასი.

დე იყოს სიონიზმი, როგორც აგეთი, უტოპია, მაგრამ, ამავე დროს იგი ებრაელთათვის დაუფასებელია, როგორც მაღალი იდეალი, სულიერი მიზანი, რომელიც სხვადასხვა კუთხეებში გაფანტულ ებრაელებს სულიერად აკავშირებს და აერთებს, ერთ მიზანს უსახავს და ერთნაირად უძგერებს გულს, როცა მოაგონებს ჰათ წარსულ სიდიადეს და ქვეყნიურ სამოთხეს—პალესტინას. აი რატომ არის ძვირფასი იდეა სიონიზმისა ებრაელთათვის. ქართველებს? ჩვენ ხომ ამდენი საუკუნოები გაგვიძლია, ჩვენ ხომ ჯერ კიდევ შეგვრჩენია ჩვენი ენა, ზნე-ჩვეულება, ლიტერატურა და სხვ. განსაზღვრულ ტერიტორიაზე ცხოვრება ქართველი ერისა, ოცნება როდია, მას ესეც მზადა აქვს. მაშ რა სჭირია მას!..

თავის თავის ცნობა,—აი რა არის მისთვის მიუცილებელი, მან უნდა იცნოს თავისი მშობელი, შეიგნოს თავისი მდგომარეობა და მისი მიზანიც ხორცს შეისხამს; ამ შემთხვევაში ისტორია მისთვის ნამდვილი დედაა და არა ღედინაცვალი და განა თავის ღვიძლს არ დაინდობს!?.. მართალია ჩვენი ახალგაზდობა გვიან გამოფხიზლდა, მაგრამ ეხლაც შეუძლია გაასწოროს თავისი შეცდომები და გამოისყიდოს ცოდვები. განა ჩვენ ამდენხანს „გზა დაბნეული ცხოვარები“ არ ვიყავით? ამას წარსული მოწმობს...

დღეს ჩვენი ახალგაზდობის დიდი უმრავლესობა სულ სხვაფრივ ფიქრობს, დღეს მან იცის, რომ სანამ სოლიდარობის პრინციპი გამარჯვებდეს, მანამ ყოველმა ერმა უნდა უზრუნველჰყოს თავისი არსებობა, როგორც ეროვნულ ერთეულისა. დღეს ქართველი ხალხის **უახლოესი და ნამდვილი** მიზანია საქართველოს აყვავება. თუ გზაზე **გადაგვეღობება ვინმე და უფლების მოპოვებაში ჩვენს დამარცხებას მოინდომებს, ცხადია, ის ჩვენი მტერია**.

ვინც ამას ვერ ხედავს, ცხადია ან ბეცია და ან თვალებს განგებ იბრმავებს. ამგვარ დოგმატიკოსებს ვერაფერი გაასწორებს.

მაგრამ ეს განა მომაკვდინებელი არ იქნება ჩვენი ხალხისთვის, იკითხავთ თქვენ? განა ასეთ დროს ამნაირად ძალების უაქსაქსვა ეპატიება ვისმეს? რასაკვირველია არა; მაგრამ აქვე ჩნდება და ვითარდება ჩვენთვის სანუგეშო მდგომარეობა: ისინი ამ საკითხის გადაწყვეტაში თანდათან ჰკარგავენ თავიანთ ავტორიტეტულ მნიშვნელობას; დღეს ახალგაზდობა სულ სხვა აზრებით იმსჭვალება, მის წინ სულ სხვა იდეალი ისახება; მათი მსაჯული—ისტორიაა, დრო. დრომ მათი იდეა დააძველა, ისტორიამ იგი უვარგისად გამოაცხადა და მის ნაცვლად შექმნა ახალი, ჭეშმარიტი იდეალი. უეჭველია ძველის დამარცხება! ახალის გამარჯვება მოსდევს, ასე უთქვამს უკვდავ შოთასაც:

„რა ვარდმან თვისი ყვავილი გაახმოს, დაამჭკნაროსა,
„იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა...“

ჯაკა ბაბავა.

*) ხაზი ყველგან ჩვენია.

**) იხ. ჟურნ. „ფენი“.

რად იტყობინებიან, რომ მათ სულთანისათვის პეტიციის მირთმევა ნდომებიათ. დიტუსალებულნი გაანთავისუფლეს.

**თეირანი**. რუსეთისა და ინგლისის ელჩებმა სადარბაზოდ ინახულეს შახი და თავიანთ ხელმწიფეთა წერილები ჩააბარეს. წერილებში ნათქვამია, რომ შახის მემკვიდრეუდ, ვიდრე მას ვაჟი-შვილი გაუჩნდებოდეს, მისი ძმა მახმედ-ხასან-მირზაა დანიშნულიო. რეგენტმა შახის მაგივრად გულ-წრფელი მადლობა გადუხადა მეფეებს მეგობრობისათვის.

მეჯლისმა მიიღო ხარჯთ-აღრიცხვის დანარჩენი მუხლები. ინგლისისაგან აღებული სესხიდან 1.525.000 თუმანი (თუმანი=2 მ. 50 კ.) სპარსეთის უმთავრეს პროვინციებში მოძრავ რაზმთა დასაარსებლად გადასდეს, 125,000 პოლიციელების ჯამაგირებისათვის.

**სოფია**. მრავალ ქალაქებიდან ამბავი მოდის, გეორგიევის მოკვლამ აფიცრები ძალიან აალელვაო. გაზეთები საკვირაოდ მოქალაქეებს მიტინგზე იწვევენ. გაზ. „სამხედრო უწყებანი“ სწერს: ოსმალეთ-ბოლგარიის შეთანხმების შემდეგ ბოლგარიას იმედი ჰქონდა, რომ საზღვრებზე სისხლი აღარ დაიქცეოდა, ეხლა კი, აფიცრის სისხლმა იმედი შეასუსტა და ხელშეკრულება წალეკა.

**ვენა.** გარდაიცვალა კომპოზიტორი გუსტავ მალერი.

**რომი**. მონასტერაჩეს მახლობლად არქეოლოგიულ თხრის დროს ძველი ქალაქის კოლონიის ნანგრევები იპოვეს.

**ხუარეცი**. აჯანყებულთა მეთაურმა მადერომ განაცხადა, მექსიკაში მშვიდობიანობა უკვე ჩამოვარდაო.

**მადერა.** მაროკანელები მდინარე მულუჰაიზე გავიდნენ. გენერალ ტუტემ ითხოვა მდინარის მეორე ნაპირზედაც მოქმედების ნება მომეცითო. ამბობენ დებედისა და მერადნუს გზაზე ჯარები და არტილერია გაიგზავნაო. მაგრამ ბურუსმა შეაჩერა. ერთი საათის შემდეგ მგზავრებს თოფის ძლიერი ხმა შემოესმათ. ბანაკიდან მშველელები ითხოვეს და შემდეგ ბრძოლა გაიმართა. ჯარს კაპიტანი და 10 სალდათი მოუკლეს.

**ბერლინი.** ლანდტაგი. მიწადმოქმედების მინისტრმა განაცხადა, ვიდრე პოლონელები თავიანთ განკერძოებულებაზე ხელს არ აიღებენ, ვიდრე უარს არ იტყვიან იმ სურვილზე, რომ სახელმწიფოში სახელმწიფო იყვეს, მინამდის გერმანელების ახლანდელი პოლიტიკაც იარსებებს. რაც შეეხება გადასახლების პოლიტიკას, იგი უნდა შეჩერდეს, მაგრამ აღმოსავლეთის პროვინციებში გერმანელთა უმრავლესობა უზრუნველ-ყოფილი უნდა იყოსო.

რ უ ს ე თ ი

**კიევი.** ქარიშხალმა და წვიმამ გუბერნიის მრავალ ადგილას დიდი ზარალი მიაყენა მცხოვრებლებს. რამდენიმე სახლს მეხმა ცეცხლი გაუჩინა. ხალხიც ბევრი დაიწვა. ჯერჯერობით მხოლოდ ოთხი დამწვარი კაცი იპოვეს.

**გომელი.** სოფ. ნოვოგოროკოვიჩაში 7 სახლი და ორი კაცი დაიწვა.

**პეტერბურგი.** საფინანსო კომისიამ სათათბიროში შეიტანა პროექტი, რომლის ძალითაც მიწების სახელმწიფო ხარჯი უნდა გადიდდეს. მიწის საფასურის ყოველ ის მანეთზე 12 კაპ. გადასახადი, საერთო ჯამი 20,495,000 მან. იქნება; 7,127,700 მან. მეტი, ვიდრე ეხლაა.

მინისტრთა საბჭომ უარ-ჰყო პრიამურის გენერ.-გუბერნატორის თხოვნა. იგი თხოულობდა, რომ რაკი პრიამურის სამხედრო ოლქში რუსი მუშები ცოტანი არიან, ნება მომეცით სამმართველოთ ასაშენებლად 24,000 ჩინელი მუშა დავიბაროო.

**მოსკოვი.** მოვიდა მეჩნიკოვი მეუღლითა და თანაშემწეებით. რამდენიმე დღის შემდეგ იგი ასტრახანის გუბერნიაში მიდის, სადაც ჭლექი და შავი ჭირი უნდა გამოიკვლიოს.

# სპორტი

## საფარიკაო-საგიმნასტიკო დღესასწაული დიდი მთავრის მიხეილის სახელობის სამხედრო სასწავლებელში.

6 მაისს ამ დღესასწაულმა ხალხი ბლომად მიიზიდა. მართლაც, საღამო ჩინებული გამოდგა. მოწაფეთა უშიშრობამ და კოხტა ვარჯიშობამ დამსწრენი აღტაცებაში მოიყვანა. მშვენიერი იყო ფარიკაობა სამი წყვილისა, ხარბაზნებითა და ყუმბარებით ვარჯიშობა, მაგიდებზე გადახტომა და ბევრი სხვა. ფრანგული ჭიდაობა სამი წყვილისა არ დასრულებულა, მაგრამ ფალავნებმა მშვენიერი ტეხნიკა და ღონე გამოიჩინეს. ბოლოს სასწავლებლის შენობას მიადგნენ, კიბეების მაგიერ თვით ჩადგნენ და თოფებით გააკეთეს ასასვლელები, რომელზედაც დანარჩენები გადაცოცდნენ ფანჯარაში და „ციხე აიღეს“. ხალხი ძლიერ კმაყოფილი დაიშალა.

**ფრანგული ჭიდაობა.**

6 მაისს სამი წყვილი ჭიდაობდა. წითელი ნიღაბი ამ საღამოს ვახტუროვს ეჭიდა. თუმცა წითელი ნიღაბი ძლიერ ღონიერია და კარგა მარდიც, მაგრამ, რასაკვირველია, ბუმბერაზ ვახტუროვს ვერას დააკლებს. ერთხელ, როდესაც ვახტუროვი პარტერში ეგდო და ზევიდან წითელი ნიღაბი მის გადაბრუნებას სცდილობდა, უკანასკნელმა ვერ მოითმინა და ქართულად წაილაპარაკა, „ვა, რა მოუხერხო ამოდენა...“ წითელმა ნიღაბმა დიდხანს გაუძლო ვახტუროვს, მაგრამ 13 წუთის შემდეგ დამარცხდა. შემიაკინისა და ბელოუსის ჭიდაობა მალე დამთავრდა. 8 წუთის შემდეგ შვეიცარულ ჭიდაობაში შემიაკინმა აჯობა. ძია ვანო მოხდენილად ეჭიდებოდა ბუმბერაზ მილლერს, რომელიც 12 წუთის შემდეგ წელში შევარდნით დაამარცხა.

# განცხადებანი

მუხრანის ქუჩაზე

# სამკურნალო

გაიხსნა მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს უოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

**ატენიანცი ნ. ა.** ყურ., ცხვ., ყელისა 10—11 საათამდე.

**ნ. მ. ახპახოვი**—(მედ. ექ.), ყურისა, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

**გ. ა. ახვერდოვი**—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

**ა. ა. გაზაზოვი**—შინაგან სნეულებან. დილის 10—11 საათ.

**ტ. ი. გეთრგ-ბეგიანი**—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

**ქ. ა. გონიევი**—ბავშვთა სნეულ. (სამშ. ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

**ი. გ. კალმიკარნოვი**—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

**ა. ი. კატანიან**—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

**მ. დ. კილოსანიძე**—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

**გ. ა. მელკონიანი**—ქირურგ. სნეულ- 5—6 ს.

**ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი**— ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606“-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—1003—70)

---

**შემთხვევით და სასწრაფოთ**

# იყიდება

განცალკევებული სახლი, კუთხისა ბაღით. 8 ოთახია, ვ. ი. 5 და 3. ბანკის ვალი 4800 მან., დასამატებელი ნაღდი ფული მორიგებით. სახლი კარგ ადგილზეა და ტრამვაისთან ახლოა. ხოლთლაკი. ამალლების ქუჩა, განაპირა ალმართი, № 2. (1—592—1)

---

ქ. თ ე ლ ა ვ შ ი

იყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე

# ჭრა-კერვის

● წ ი გ ნ ი ●

თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით. ახალი მეთოდი.

ექვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

**სოფიო ი. სიმონოვის მიერ.**

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софiи Iосифовны Симоновой. Вульв. пер. 2. собс. домъ. (100—1140—36)

---

# დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა დაარსებულია 1880 წელს. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი**: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი**: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი**: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი**: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი**. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**: 1—1½ ს. შინაგან· და საბავშვო.

**ბ. გ. ავასაროვი**: 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ხ. ზილბერშაცი**: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**თ. ჰ. გეევსკაია-ენგელი**: 6—6½ ს საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. ვარციშევსკი**: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. (1168—32)

---

# ევგენი რომანის ძე ზემელი და ამხ.

აცხადებს, რომ 1911 წ. 5 მაისიდან ხილის წყალს ადგილობრივ და სახლ-დუქნებში მიტანით დიდ ბოთლს 8 კაპ. გაჰყიდის, ნახევარ ბოთლს 4 კაპ. (3—582—3)

---

ი ს ყ ი დ ე ბ ა

# „რენსკოვოი პოგრების“ პატენტი

ოლგას ქუჩა, № 8 (ვერა), სახლი ვაბაშვილისა, ღვინის სარდაფში. (2—583—2)

---

# უდიდესი სიურპრიზი!

სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ!!

**600** ნივთი მხოლოდ **3 მ. 90 კ.**

1) **მშვენიერი საათი-ანკერი**, სწორედ მსვლელი 6 წლის გარანტიით. 2) **საუცხოვო ბეჭედი ქალისათვის** ამერიკულის ბრილიანტით. 3) **მანიაკი ქალისა** აღმოსავლეთის მარგალიტითა პატენტი ბალთებით. 4) საუცხოვო და ლაზათიანი ქალთა სამაჯური ამერიკულის ოქროსი «დუბლე». 5) მოზდენილი ჯიბის ნესესერი 4 ნივთით. 6) ერთი წყვილი საყურე საუცხოვო ამერიკულ ბრილიანტებითა და მოხატული ამერიკულ. 7) მოზდენილი ტყავის საფულე. 8) ალბომი 50 საინტერესო სურათით. 9) მუნშტუკი-აპარატი მქიმ კორსისა, თუთუნის მავნებლობის ასაცილებლად. 10) მექანიკურად დასაკეცი მაკრატელი ლამაზის ბუდით და 11) **კიდევ 500 სხვა საინტერესო და სასარგებლო ნივთი**. სულ ყველა 600 ნივთში საათიანად მხოლოდ 3 მ. 90 კ. ვაძლევთ (მარტო საათი ცალკე ამდენივე ღირს). ფასდადებით გასაგზავნს ერთიდან სამ გარნიტურს ვინც დაიბარებს 55 კაპეიკს ვაძლევთ, ციმბირში—95 კ.

მიმართეთ: О-ву „Меркурiй“, Лодзь N 45. დაწუნებულ ნივთებს უკანვე ვღებულობთ და ფულს ვუბრუნებთ. Метцль. 30977. (5—1233—5)

---

# „სამპსონინი“

თმებისათვის

**საპონი ექ. დიდიძისა**

იყიდება ელისაბედის აფთიაქში (ქსენიევისა და ელისაბედის ქუჩების კუთხე). (წლ.—1152—24)

---

**სუსუნატის წინააღმდეგ**

**ახალი წამალი**

# „SALO-პიჩილინი“

სწრაფად და საფუძვლიანად მოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში მევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა, 1 მან. და 80 კ.

აგრეთვე კარგად მოქმედობს ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ მდინარეობასაც აჩერებს.

დეპო: Петербургъ. Разъѣзжая N 7, Аптека Б. Конгейма.

ფას-დადებით იგზავნება. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. კავკასიის საფთიაქო საქონლით მოვაჭრე საზოგადოებაში იშოვება. Метцль. 12429. (45—1014—13)

---

# სადგ. მცხეთიდგან 100 საჟენის დაშორებით

აგრეთვე „**მუხათ გვერდში**“, სადგ. მცხეთიდგან 3 ვერსის მანძილზე, ტფილისის მხარეს, ზემო-ავჭალის რკინის გზის ხიდთან, საუცხოვო ალაგას, იყიდება საავარაკო მიწის ნაჭრები ოთხკ. საჟ. 30 კ-დან—1 მ-მდე. მამულში წყაროებიც არის. მსურველთათვის, ვინც დასათვალიერებლად მოდიან, კვირა-უქმე დღეს, სადგ. მცხეთაში მატარებლების № 7/8 და 3 მოსვლის დროს ჰხვდება ჩასაჯდომები, რომლის ფასიც კაცზე მუხათ გვერდში წაყვან-წამოყვანა **20 კაპეიკი**. იქვე განზრახულია პლატფორმის მოწყობაც. მოსალაპარაკებლად მიჰმართეთ: სოფიო მიხ. ჩხარტიშვილს, ელისაბედის ქ., № 113. (1—1272—1)

---

# საკერავი მაშინა

## ზინგერის კომპანიისა

**იყიდება**

მხოლოთ კომპანიის საკუთარ მაღაზიებში

ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილ **1** მანეთიდან




მაღაზიის ნიშანი.

ხელის მაშინები ფასად **25** მანეთიდან

უფთხილდით სიყალბეს

მაღაზიები ყველა ქალაქებში.

(წ.—1062—24)

---

ალექსანდრე

# თაბაგრის

მ ა ღ ა ზ ი ა შ ი

## საკერავი და საქსოვი მაშინები,



ქუთაისი ალექსანდროვის ქ.

**გრამოფონები და ველოსიპედები**

და მათი მოწყობილება დამზადებულია საზღვარ-გარეთის საუკეთესო ქარხნებში, რის სიკარგეშიც ვიძლევი გარანტიას. ფასები საქართნოა (ზომიერია), როგორც ნაღდზედ, აგრეთვე ნისიათ. (თვიურად შემოტანით). ჩვენს საკერავ მაშინებს აქვს წარწერა. „ПО ОСОБОМУ ЗАКАЗУ—А. Р. ТАБАГАРИ КУТАИСЪ“, რომელიც უტყუარია და მყიდველებიდგანაც მაქვს მადლობის წერილები. **მყავს გამოცდილი მექანიკი**, **შეკეთება ყველაფ რის კარგად და ზომიერ ფასებში**. გრამოფონის პლასტინკები ახალ-ახალი მოგვდის ყოველ კვირა.

ფოსტის ადრესი: Кутаисъ, А. Р. Табагари.



(50—1072—21)

---

4 მანეთი ადგილობრივ | **გიუ დე-მოპასანის** ● სრული თხზულებანი (რუსულად). ● | 5 მან. გაგზავნით.

ა. ა. კორინფსკის რედაქციით თარგმნილი, 14 ტომად, პორტრეტებით, ავტობიოგრაფიითა და ლიტერატურულ-ბიოგრაფიულ ა. ა. კორინფსკის წერილით. პირველ ტომში—გი დე-მოპასანის ნიჭის დაფასება ლევ ტოლსტოის მიერ და სიტყვა გი დე-მოპასანის დაკრძალვის დროს ემილ ზოლასი. ფასი ყველა 14 ტომისა ცალკე გაყიდვით 14 მან. (თითო ტომი მან.). მიიღება შეღავათიან პირობებით ხელის-მოწერა: ფასი ხუთი მანეთი ყველა წიგნებისა გაგზავნით რუსეთის ყველა ქალაქებში წიგნები იბეჭდება მშვენიერ ქაღალდზე, მხატვრულად შესრულებულ კანით, შეიცავს 5000 გვერდს, სურათებითა და ავტორის პორტრეტით ცარცის ქაღალდზე. ამ 14 ტომში შედის გარდა გენიალურ ავტორის სიცოცხლის დროს გამოცემული თხზულებათა, აგრეთვე

**მისი სიკვდილის შემდეგ ყველა გამოსული ნაწერებიც.**

პირველ მის სრულ თხზულებათა ყველა 14 ტომის ფასი ხელის-მოწერით მხოლოდ 5 მან გასასყიდად გამოსვლისას ეღირება 12 მან. ფული უნდა გამოიგზავნოს: წიგნის მაღაზია „Сѣверъ“, ს.-პეტერბურგი, Петербургская сторона, Большой проспектъ, д. № 3. (3—1238—3)

---

# გაიხსნა ახალი ღვინის სავაჭრო ამხანაგობა „კომეტა“

ლორის-მელიქოვის ქუჩა, პუშკინის ბაღის პირდაპირ, სახლი ზუბალაშვილისა, № 6.

გვაქვს ნამდვილი შუა გულ კახეთის ღვინოები ყველა საუკეთესო ზვრებიდან.

ჩვენ გვსურს ყოველს ჩვენგან მყიდველს დავაკმაყოფილოთ ნამდვილი ყურძნის წვენის ღვინო ხელ-მისაწვდენ ფასებში.

| | |
|---|---|
| * ბოთლი 15 კაპ. | *** ბოთლი 25 კაპ. |
| ** „ 20 კაპ. | **** „ 30 კაპ. |
| | ***** — 40 კაპ. |

**გარდა ამისა მომეტებული ნომერი ერთ მანეთამდის.**

ვინც ვედრობით იყიდის ღირებული პროცენტი დაეთმობათ.

პატივისცემით **ამხანაგობა.** (10—1234—6)

---

# სააქციონერო საზოგადოება გრამაფონი

◆ განყოფილება კავკასიისა და ამიერ-კავკასიისათვის ◆

ტფილისი, გოლოვინის პრ., № 9.

# საყურადღებო ამბავი!

გრამოფონების ფირფიტების, რომელსაც ნიშნად აქვთ

„მ წ ე რ ა ვ ი ა ნ გ ე ლ ო ზ ი“,

## ფასებმა ძალზე დაიწია.

ფირფიტების ახალი ფასები:




| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 12 | შავი ეტიკეტით, ორ-მხრივი | 2 მან. | — კაპ. |
| | 10 | „ „ „ | 3 „ | — „ |
| | 7 | ყავის-ფერ ეტიკეტით ორ-მხრივი— | | 75 „ |
| „მწერავი ანგელოზი“, | 10 | „ „ „ | 5 „ | 10 „ |
| | 12 | „ „ „ | 2 „ | — „ |

ისარგებლეთ შემთხვევით და მობრძანდით საქ. საზოგადოება

# გრამოფონი-ს მაღაზიაში

**საწყობში გვაქვს დიდძალი ფირფიტები:**

რუსული, მალორუსული, სპარსულ-თათრული, ქართული, სომხური

და ყველა უცხო ენაზე დაწერილი.

**მოითხოვეთ უფასოდ კატალოგები და დამატებითი სიები:** (20—1092—17)

---

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

# სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ ძმ. ძეგველოვების

● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

## ახალ-ახალი

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

## ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

მიიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა

გირვანქა 2 მ. დან 2 მან. 40 კ.-დე.

წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.

და ბელა-რიბიც 50 კ.

აგრე ივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები. (წ—1053—)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა